


ახალი თაობა



გვ.7

ადვოკატმა თიკო ქარსელაძემ თავი მოიკლა
„ამბობენ, სისხლისგან დაიცალა, ვენები ჰქონია გადაჭრილი“

14 დეკემბრიდან
რომან გვენცაძე
საბელისნარო
გასროლა

ფასი
გაზეთთან
ერთად
4 ლარი



სუთშაბათი, 14 დეკემბერი, 2017

№296 (7531)

ფასი: 50 თეთრი

„კვირიკაშვილი ხერიკაშვილის და ბაჩილაძეების კლანებს ბიუჯეტს ვერ უნაწილებს“

დატოვებს თუ არა პრემიერი თანამდებობას



გვ.2



რატომ მოხსნეს „სიბრონ ჯორჯია“ ტენდერიდან

გვ.2

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო განმარტებებს აკეთებს



სოსო ტინცაძე:
„კვირიკაშვილმაც კარგად იცის, რომ ტენდერების მოგება კარტელური ბარიერებით ხდება“

გვ.3



დეპურ ბიორხელიძე:
„სამეკი დენის ტარიფს ვინიშებ ვითარით გააძვირებს“


გვ.5

რევან არველაძე:
„შუქზე არა, წყალზე კი ველოდები ფასების ზრდას“



სამართალი გვ.7

თამურ ბასილიას უკანონო მსჯავრდების გადახედვის საქმეზე სხდომა 4 იანვრამდე გადაიდო



„სამართალის ბანკიდან“ ბრალდებულმა 5.415 ევრო, 8.353 ლარი და 7.425 ლარი გაიტაცა გურჯაანში მანქანა 2 ბავშვი გაიტანა

გვ.3



დადა-შვილის — თამრიკო ავალიშვილის და მარიამ სოსოშვილის ბრალდებულების მიზანი გაზის ნაშენი გახდა



სტამბოლში 52 წლის ქართველი ქალი მოკლეს

სტამბოლში, ბუიუქჩექმეჯეს რაიონში, 52 წლის ქართველი ქალი ბლაგვი საგნის გამოყენებით მოკლეს. მოკლულია მოზუციც, რომელსაც ემიგრანტი უწვიდა. ინფორმაციას სტამბოლში საქართველოს საკონსულო ადასტურებს. „სტამბოლში, ბუიუქჩექმეჯეს რაიონში, მოხდა მკვლელობა. კერძო სახლში მცხოვრები თურქეთის მოქალაქე და საქართველოს მოქალაქე მოკლულ იქნენ ბლაგვი საგნის ჩარტყმით. საქართველოს მოქალაქის ცხედარი გადასვენებულია პროზექტურაში. გენერალურ საკონსულოს აქვს კომუნიკაცია პოლიციასთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება. ველოდებით ექსპერტიზის პირველადი დასკვნის შედეგებსა და ოფიციალურ შეტყობინებას“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

აკოსოიკა



შესაძლოა, „ფრესკო“ ბაზარი დატოვოს



4 ვინ აუწინებს პარტიებს საქართველოში?

3 ვაზარ კვიციანი: „ადგილი აქვს სააკაშვილის, კარიონის, პლანის და კოკაინის ლეგალიზებას“

6 აფხაზეთის ოპოზიცია ბიუჯეტის წინააღმდეგ

8 57-მა მუსლიმურმა ქვეყანამ აღმოსავლეთ იერუსალიმი პალესტინის დედაქალაქად აღიარა



კაკუსაა ოლიმპი დააპარსა

ოლიმპი-კაკუსი 66:71

(14:12, 18:23, 15:21, 19:15)

ერთმანეთს ცხრილის შუა-ნელში მყოფი გუნდები დაუპირისპირდნენ. ამ გუნდებს შორის სხვაობა 2 ქულა გახლდათ და კაკუსელები გამარჯვების შემთხვევაში ცხრილის ლიდერებს უახლოვდებოდნენ, ოლიმპს კი მოგება სამეულში შესასვლელად სჭირდებოდა.



მატი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო, თუმცა ტექნიკური ნუნე ბევრი იყო და გუნდებს ქულების მოპოვება უჭირდათ. პირველი მეოთხედი ოლიმპელებმა 2 ქულით მოიგეს – 14:12. მეორეში კი კაკუსელებმა თამაში დააღებინეს და გალიდერდნენ. ერთ ხანს არჩილ ჟღენტის გუნდის ლიდერობამ 7 ქულასაც მიაღწია, თუმცა პირველი ნახევრის ბოლოს ოლიმპელებმა მერაბ ბოქოლიშვილის სამქულიანებით მოახერხეს ჩამორჩენის შემცირება და დიდი შესვენებისთვის კაკუსს 3-ქულიანი ლიდერობა შეერჩა – 35:32.

მესამე მეოთხედი კაკუსელებმა გამარჯვებაზე ხმაელად განაცხადი გააკეთეს. ამერიკელი ლეგიონერების – კრისტინა ჯონსონის, ტერიკ ბრიჯმენისა და დენდრე პარკის ნინამძღოლობით კაკუსელებმა 10-ნუთული 21:15 მოიგეს და გადამწყვეტი პერიოდის წინ 56:47 დანაწილდნენ.

ლეონი ივანის განვრთვით ოლიმპელებმა ბოლო პერიოდში ძირეული ცვლილებები ვერ განახორციელა. კაკუსის უპირატესობამ 10 ქულას გადააბიჯა. ოლიმპის ნევრები ცდილობდნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ჩამორჩენის 4 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოოდ კაკუსელებმა თამაში გამარჯვებამდე დაძაბულობის გარეშე მიიყვანეს – 71:66.

გამარჯვებულებს 18 ქულით დენდრე პარკსმა ულიდერა. ტერიკ ბრიჯმენმა ორმაგი დუბლი – 17 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა, კრისტინა ჯონსონის ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 18 ქულით და 13 მოხსნით მარკ ოგდენი გამოირჩა. მორის ჰილმა კი თავი 16 ქულას მოუყარა.

საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახურის ცნობით, 2018 წლის ივნისის ტესტებზე ერთ-ერთი მეტოქე ცნობილია – 23 ივნისს ბორჯღალოსნები იაპონიას ეწვევიან. მატი იმ ტოიოტა სთედიუმზე გაიმართება, რომელზეც 2019 წლის მსოფლიო თასის პირველი მატჩში ბორჯღალოსნები უელსს დაუპირისპირდებიან.

აქამდე ალუბლებს 5-ჯერ შეხვედრივართ და ბალანსი ძალიან ცუდია – 4 მატჩი მოიგეს იაპონელებმა და მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს ქართველებმა. მომავალ დაპირისპირებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ორივე ნაკრების მწვრთნელი.

მილტონ პეიგი:
– ძალიან მოხარული ვარ, რომ მოგვეცა იაპონიასთან თამაშის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ იგივე სტადიონზე ვითამაშებთ, რომელზეც 2019 წლის მსოფლიო თასზე პირველი მატჩი უელსს დაუპირისპირდებით. იგივე ბაზაზე ვივარჯიშებთ, იგივე სასტუმროში გავჩერდებით და იგივე სატრანსპორტო სისტემას გამოვიყენებთ, მსოფლიოსთვის მოსამზადებლად ამაზე კარგია რა უნდა გინდოდეს... რაც მთავარია, ჩვენთვის დიდი პატივია იაპონიას მათსავე ქვეყანაში ვითამაშოთ. რაც მე ბორჯღალოსნების მწვრთნელი ვარ, მათ სამჯერ ვეთამაშეთ თბილისში და ერთხელ ბრიტანეთში, აქედან გამომდინარე დიდებულია, რომ იაპონიას თავიანთ მშობლიურ კედლებში დაუპირისპირდებიან.

ჯეიმი ჯოზეფი:
– იაპონელ ქომაგებს უნდა ვაჩვენოთ, რომ გვაქვს გამარჯვების უფი და სურვილი. მატჩები იტალიისა (ქართველებამდე იაპონელები იტალიასაც უმასპინძლებენ) და საქართველოს ნაკრებების წინააღმდეგ, მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად იდეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მხარდასაჭერად სტადიონზე ქომაგი მრავლად მოვა.

ანასტასია გოტფრიდი: „პირ დაპოვება საქართველოს, სანამ უკრაინაში სიზუსტია არ შეიხვეწება“

აშშ-ის ქალაქ ანაჰაიმში გამართულ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ანასტასია გოტფრიდი (90) საქართველოს ისტორიული ოქროს მედალი მოუტანა.

21 წლის წარმოშობით უკრაინელი ძალოსანი გოგონა რამდენიმე წელიწადია, საქართველოს სახელით გამოდის. როგორც თავად სპორტსმენი ამბობს, ამის მიზეზი უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ასევე ძალოსანთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბი გახდა.

ანასტასია გოტფრიდი:

– უკრაინის ძალოსანთა ფედერაცია ყველა პირობას უქმნის სპორტსმენებს, მაგრამ მთავარი პრობლემა სელმძღვანელობაშია – სპორტის სამინისტრო, ქალთა ნაკრების მწვრთნელი და მისი გუნდი. თავიანთი ქმედებით ისინი იძულებულს ხდებიან, პერსპექტიულმა სპორტსმენებმა ქვეყანა დატოვონ. ისინი ითხოვენ, სპორტსმენებმა მათთვის სასურველი მწვრთნელები აიყვანონ, რათა შემდეგ სახელი გაიგონ და პრემიები გამოიწიონ. ვინ უარს იტყვის, მას გზას უკეტავენ. ეს არასპორტული საქციელია. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ბოლო 14 წლის მანძილზე უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი არ ყოფილა.

გოტფრიდი ამბობს, რომ 2 წლის მანძილზე – 2013-15 წლები, საკუთარი სახსრებით ვარჯიშობდა.

– ჩემ შემთხვევაში ძალიან მკაცრი პირობები წამოვიყენე: პირად მწვრთნელად უნდა ამეყვანა იური კუჩინოვი, ამასთან, გავმხდარიყავი ოდესის ოლქის წარმომადგენელი და დავუშორებოდი მეუღლეს – დენის გოტფრიდს. როდესაც ამ ყველაფერზე უარი ვთქვი, ყოველი მხრიდან წნეხში მომაქციეს. 2013-იდან 2015 წლამდე პერიოდში არ მქონდა ხელფასი, ვარჯიშის საშუალება და სამედიცინო მომსახურება. ვვარჯიშობდი საკუთარი ხარჯით.

სპორტსმენის თქმით, მისი ახლა უკრაინაში დაბრუნება არასწორი საქციელი იქნება.

– ძალიან ბევრი წინადადება მივიღე სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ უკრაინის იმედი ბოლო წუთამდე მქონდა. მინდოდა დიდ ტურნირებზე ჩემი ქვეყნის სახელით გამოვსულიყავი, მაგრამ, როცა დავრწმუნდი, რომ ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა, მივიღე საქართველოს წინადადება და დღეს ამ ქვეყნის სახელით გამოვდივარ. ამიტომ, ახლა უკრაინაში ვერ დაბრუნდები. ეს იქნება არასწორი საქციელი იმ ხალხის მიმართ, ვინც ხელი გამომიწოდა.



მეორეც, სანამ უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ხელმძღვანელობა არ შეიცვლება, სანამ საკუთარ დანიშნულ მწვრთნელსა და პრინციპებს არ შეცვლიან, არც ვაპირებ. კუჩინოვის მთავარ მწვრთნელად მისვლის შემდეგ უკრაინა დატოვებს სვეტლანა ჩერნიავსკაიამ, ტატიანა ვარლამოვამ, ქსენია ვიშნიკაიამ, ალიონა კირიენკომ. თვით კუჩინოვის ალბრდილი იწვია დღევანდელ კი აზერბაიჯანში ნავედა. კუჩინოვის თითქმის ყველა აღზრდილი 1994 წლიდან ლონდონს იღებს და ამის გადამონშებაც შეეცდილიათ. ჩემს ქმარს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი და მწვრთნელია, ერთი ჩავარდნა არ ჰქონია და კონტრაქტს არ უფორმებენ.

საქართველო ტესტ-მატჩში იაპონიას შეხვდება



საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახურის ცნობით, 2018 წლის ივნისის ტესტებზე ერთ-ერთი მეტოქე ცნობილია – 23 ივნისს ბორჯღალოსნები იაპონიას ეწვევიან. მატი იმ ტოიოტა სთედიუმზე გაიმართება, რომელზეც 2019 წლის მსოფლიო თასის პირველი მატჩში ბორჯღალოსნები უელსს დაუპირისპირდებიან.

აქამდე ალუბლებს 5-ჯერ შეხვედრივართ და ბალანსი ძალიან ცუდია – 4 მატჩი მოიგეს იაპონელებმა და მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს ქართველებმა. მომავალ დაპირისპირებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ორივე ნაკრების მწვრთნელი.

მილტონ პეიგი:
– ძალიან მოხარული ვარ, რომ მოგვეცა იაპონიასთან თამაშის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ იგივე სტადიონზე ვითამაშებთ, რომელზეც 2019 წლის მსოფლიო თასზე პირველი მატჩი უელსს დაუპირისპირდებით. იგივე ბაზაზე ვივარჯიშებთ, იგივე სასტუმროში გავჩერდებით და იგივე სატრანსპორტო სისტემას გამოვიყენებთ, მსოფლიოსთვის მოსამზადებლად ამაზე კარგია რა უნდა გინდოდეს... რაც მთავარია, ჩვენთვის დიდი პატივია იაპონიას მათსავე ქვეყანაში ვითამაშოთ. რაც მე ბორჯღალოსნების მწვრთნელი ვარ, მათ სამჯერ ვეთამაშეთ თბილისში და ერთხელ ბრიტანეთში, აქედან გამომდინარე დიდებულია, რომ იაპონიას თავიანთ მშობლიურ კედლებში დაუპირისპირდებიან.

ჯეიმი ჯოზეფი:
– იაპონელ ქომაგებს უნდა ვაჩვენოთ, რომ გვაქვს გამარჯვების უფი და სურვილი. მატჩები იტალიისა (ქართველებამდე იაპონელები იტალიასაც უმასპინძლებენ) და საქართველოს ნაკრებების წინააღმდეგ, მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად იდეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მხარდასაჭერად სტადიონზე ქომაგი მრავლად მოვა.

რუსეთი ოლიმპიადაზე მიღის, აპირიკა ფიქრობს

2018 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე, რომელიც პიონჩანგში 9-25 თებერვალს გაიმართება, რუსი სპორტსმენები ოლიმპიური დროშის ქვეშ იასპარეზებენ. ეს გადამწყვეტილება ოლიმპიურმა კრებამ ერთხმად მიიღო.

უფრო ადრე იგივე მოსაზრება გამოითქვა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისიის სხდომაზეც.

რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტს დაევალა უზრუნველყოს რუს სპორტსმენთა მონაწილეობა ზამთრის ოლიმპიადაზე – ორგანიზაციული, ტექნიკური, ფინანსური და სხვა საკითხების მოგვარება.

– ჩვენ დავეუკავშირდით სპორტსმენებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობენ, მოვისმინეთ უმეტესი მათგანის აზრი და აღმოჩნდა, რომ სპორტსმენთა უმრავლესობას სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიადაში. კომისია მხარს უჭერს მათ და ასევე პატივს სცემს იმას მოსაზრებასაც, ვინც სხვადასხვა მიზეზით შინ დარჩენას ამჯობინებს. გვირგვინ ვთხოვთ რუსეთის საზოგადოებას, გაგვხიზნოს სპორტსმენთა გადამწყვეტილება. მიუხედავად იმისა, გამოუვა თუ არა დროში სპორტსმენი, მაინც ყველას ეცოდინება, რომ ის რუსეთიდანაა, – ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის საქმე კი გაირკვა, მაგრამ ახლა გასარკვევია, გამოვლენ თუ არა ოლიმპიადაზე ამერიკელები...

საქმე ის არის, რომ 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ამერიკის ნაკრების მონაწილეობის შესა-



ხებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას სურს დარწმუნდეს, რომ ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში, მეზობელ ჩრდილოეთ კორეაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ამერიკელი სპორტსმენების უსაფრთხოება დაცული იქნება.

სარა საიდერსი, თეთრი სახლის პრეს-მდივანი:

– ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. პრეზიდენტი ყველაფერს აწონ-დაწონის და გაითვალისწინებს დანტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს. ამერიკაში მოუთმენლად ელიან ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობას. ამერიკელების უსაფრთხოება ჩვენი პრიორიტეტია. ჩვენ ვთანამშრომლობთ კორეელებთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, რათა დაცული იყოს უსაფრთხოება.

რამდენიმე დღის წინ, გაერო-ში

ამერიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ნიკი ჰილიმ ასევე განაცხადა, რომ აშშ-ის ნაკრების მონაწილეობა 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში დამოკიდებულია კორეის ნახევარკუნძულზე არსებულ სიტუაციაზე.

თავის მხრივ, აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს, რომ პიონჩანგ-2018-ის ბოიკოტის საკითხი არც განიხილება. მეტიც, ოლიმპიური კომიტეტი გეგმავს, რომ ოლიმპიადასა და პარაოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად 2 დღეეცაა გაგზავნოს.

2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მიმღები ქალაქი – პიონჩანგი ჩრდილოეთ კორეის საზღვრიდან 80 კილომეტრითაა დაშორებული. კორეის ნახევარკუნძულზე არსებულმა კრიზისმა და ჩრდილოეთ კორეის მიერ განხორციელებულმა სარაკეტო გამოცდებმა ოლიმპიადაში მონაწილე ზოგიერთი ქვეყანა ლამის ბოიკოტის არჩევანს წინაშე დააყენა. მაგალითად, საფრანგეთი შიშობდა, რომ ოლიმპიადის ასრულებლობის შესაძლოა დატოვოს არ ოფიციალური მონაწილეობა უსაფრთხოება. იგივე მიზეზით ოლიმპიადაში მონაწილეობა ეჭვქვეშ დააყენა ავსტრალიამც. თუმცა, მას შემდეგ, რაც სამხრეთ კორეამ ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნებს უსაფრთხოების სრული გარანტიები მისცა, უსაფრთხოების შესახებ არსებული კითხვები ნაწილობრივ მოიხსნა.

შედეგები

12 დეკემბერი	
ფეხბურთი	
ინგლისი. პრემიერლიგა	
ბარნლი-სტოკი	1:0
ჰადერსფილდი-ჩელსი	1:3
კრ.პალასი-უოტფორდი	2:1
საუბრისი სხილი:	
1.სიტი	16 15 1 0 48-11 46
2.მანჩესტერი	16 11 2 3 36-11 35
3.ჩელსი	17 11 2 4 31-14 35
4.ბარნლი	17 9 4 4 16-12 31
5.ლივერპული	16 8 6 2 34-20 30
6.არსენალი	16 9 2 5 30-20 29
7.ტოტენჰემი	16 8 4 4 28-14 28
8.ლესტერი	16 6 5 5 23-22 23
9.უოტფორდი	17 6 4 7 26-29 22
10.ვეერტონი	16 5 4 7 20-29 19
11.საუთჰემპტონი	16 4 6 6 16-19 18
12.პადრისფილდი	17 5 3 9 12-29 17
13.ბრაიტონი	16 4 5 7 14-21 17
14.ბორნოუთი	16 4 4 8 15-19 16
15.სტოკი	17 4 4 9 19-36 16
16.ნიუკასლი	16 4 3 9 16-25 15
17.კრ.პალასი	17 3 5 9 12-28 14
18.ვესტ ბრომვიჩი	16 2 7 7 12-22 13
19.ვესტ ჰემი	16 3 4 9 14-32 13
20.სუონსი	16 3 4 10 9-18 12
გეიმანია. ბუნესლიგა	
ვოლფსბურგი-ლაიპციგი	1:1
ჰამბურგი-აინტრახტი	1:2
მაინცი-დორტმუნდი	0:2

ფრაიბურგი-გლადაბახი	1:0
საუბრისი სხილი:	
1.ბაიერნი	15 11 2 2 35-11 35
2.ლაიპციგი	16 8 4 4 25-22 28
3.შალკე	15 7 5 3 23-17 26
4.დორტმუნდი	16 7 4 5 37-23 25
5.აინტრახტი	16 7 4 5 18-16 25
6.გლადაბახი	16 7 4 5 24-27 25
7.ლევერკუზენი	15 6 6 3 29-19 24
8.ჰოფენჰაიმი	15 6 5 4 25-20 23
9.აუგსბურგი	15 6 5 4 22-17 23
10.პანოვერი	15 6 4 5 19-19 22
11.ვოლფსბურგი	16 3 10 3 21-20 19
12.ჰერტა	15 4 6 5 20-22 18
13.დრაიბურგი	16 4 6 6 14-28 18
14.შტუტგარტი	15 5 2 8 13-19 17
15.მაინცი	16 4 4 8 17-26 16
16.ჰამბურგი	16 4 3 9 14-22 15
17.ვერდერი	15 3 5 7 11-17 14
18.კიოლნი	15 0 3 12 9-31 3
იტალია. სეჩია ა	
ჯენოა-ატალანტა	1:2
საუბრისი სხილი:	
1.ინტერი	16 12 4 0 33-10 40
2.ნაპოლი	16 12 3 1 35-10 39
3.იუვენტუსი	16 12 2 2 41-14 38
4.რომა	15 11 2 2 27-10 35
5.ლაციო	15 10 2 3 36-19 32
6.სამპდორია	15 8 3 4 30-22 27
7.მილანი	16 7 3 6 23-21 24
8.ატალანტა	16 6 5 5 23-20 23
9.ტორინო	16 5 8 3 22-22 23
10.ფიორენტინა	16 6 4 6 26-19 22
11.ბოლონია	16 6 3 7 19-20 21
12.კევიო	16 5 6 5 17-26 21
13.უდინეზე	15 6 0 9 23-24 18
14.კალიარი	16 5 2 9 16-27 17
15.სასუოლო	16 4 2 10 10-28 14
16.ჯენოა	16 3 4 9 14-22 13
17.კროტონე	16 3 3 10 12-32 12
18.სპალი	16 2 5 9 15-28 11
19.ვერონა	16 2 4 10 14-32 10
20.ბენევენტო	16 0 1 15 8-38 1
საფრანგეთი. თასი	
ტულუზა-ბორდო	2:0
ანჟე-მეცი	1:0
მონაკო-კანე	2:0
საფრანგეთი. მე-2 ლიგა	
ორლეანი-გაზელექი	2:0
პოლანდია. ხეივანი	
ბრედა-ტვენტე	1:2
ზოლე-ალკმარი	1:1
მოდენა. პრემიერლიგა	
როსი-კილინაროვი	2:2
პარტისი-დანდი	2:0
ბელგია. თასი	
კორტრაიკი-გენტი	4:1
ოსტენდე-სტანდარდი	2:3
პოლონეთი. ექსტრასეცა	
პიასტ-ლეგია	0:1
იაგელონია-კორონა	5:1
არკა-გურნიკი	1:0
ნეცეჩა-ლასაკი	2:1
მოაზრება მსხვილ ფორულისა	

ძიუდოისტები მასტერსზე არასრული შედეგით მიდიან

16-17 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგი ძიუდოისტების მასტერსის გათამაშებას უმასპინძლებს, რომელშიც ტრადიციულად ყველა წონითი კატეგორიების 16-16 საუკეთესო რეიტინგის მქონე სპორტსმენები ჩაერთვებიან. ტურნირის საპრიზო ფონდი 200.000 დოლარი იქნება.




მასტერსი უკვე მესამედ იმართება და ასპარეზობის გამარჯვებულები 1.800 სარეიტინგო ქულას მიიღებენ, ვერცხლის მედალი 1.260 ქულა, ხოლო ბრინჯაოს – 900 ქულა. შეჯიბრის კენჭისყრა ვეალ გაიმართება, შაბათ-კვირას კი უშუალოდ შეჯიბრი 14 წონით კატეგორიაში (7 კაცებში, 7 ქალბავშვში) ჩატარდება. საქართველოს ნაკრები სანკტ-პეტერბურგის მასტერსზე არასრული შედეგით, 6 ძიუდოისტით წარდგება: ვაჟა მარგველაშვილი (66კგ), ლაშა შავდათუაშვილი (73), ზებედა რევალიაშვილი (81), ბექა ლვინიაშვილი (90), ვარლამ ლიპარტიელი (100) და გურამ თუშიშვილი (+100). ცხადია, ქალთა შორის საერთოდ არ გყავს მონაწილე, რადგან არც ერთი ქალი ძიუდოისტის რეიტინგში 16 საუკეთესოთა შორის ვერ ხვდება. უკვე ცნობილია, რომ 16 დეკემბერს პრიზობით ვინაობას ვაჟთა სამ (60, 66 და 73 კგ.) და ქალთა ოთხ (48, 52, 57 და 63 კგ.) წონით კატეგორიაში შეიჯიბნებიან, 17-ში კი მედლები ვაჟთა ოთხ (81, 90, 100 და +100 კგ.) და ქალთა სამ (70, 78, +78 კგ.) წონაში გათამაშდება.



მესამე ოზონს ბარსელონაში გადასვლა სურს

ლონდონის არსენალის გერმანელ ნახევარმცველს მესამე ოზონს ბარსელონაში გადასვლა სურს და ეს ტრანსფერი შესაძლოა უკვე იანვარში განხორციელდეს.



ოზონს არსენალთან კონტრაქტი ზაფხულში ენ ურება, ამიტომ, სავარაუდოდ, არსენალი მას ზამთარში გაყიდის.

ოზონი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას ითხოვს და ამის გამო ბარსელონამ შესაძლოა მის ყიდვას უარი თქვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ოზონი წლების მანძილზე მადრიდის რეალის ფეხბურთელი იყო და არსენალში ის 2013 წლიდან ასპარეზობს.

იკარ კასილიასი ზამთარში კორნობლან ნავა




პორტოს ესპანელი გოლკიპერი იკერ კასილიასი ზამთარში გუნდს დატოვებს, რადგან მან ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. კასილიასის კონფლიქტი აქვს პორტოს მთავარ მწვრთნელ სერჟიო კონსეისასთან და ამის გამო ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე ის მოედანზე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა.

იკერი უკვე 36 წლის არის, მაგრამ მისთვის ახალი გუნდის მოძებნა სავარაუდოდ პრობლემა არ იქნება.

კასილიასი პორტოში 2015 წელს გადავიდა, მანამდე კი ის 16 წლის მანძილზე მადრიდის რეალის ლირსებას იცავდა, სადაც უამრავი ტიტული მოიგო.

კრიზიანო რონალდო: „ასე-სამოვუაბით“

მადრიდის რეალის პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიზიანო რონალდომ ასე-სამოვუაბით დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ რეალი მოახერხებს პარიზულ გუნდთან გამკლავებას. რონალდუს აზრით, რეალს წინ ორი რთული შეხვედრა ელის.



– ასე ძალიან გაძლიერდა და მას პატივი უნდა ვცეთ. რთული მატჩები გველის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ. რეალს ორჯერ ზედიზედ აქვს ჩემპიონთა ლიგა მოგებული და ჩვენ ამჯერადაც ფავორიტები ვართ, – განაცხადა კრიზიანო რონალდომ.

ბუფონმა კარიერის დასრულება გადაიფიქრა



ტურინის იუვენტუსის მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა შესაძლოა სეზონის ბოლოს კარიერა არ დაასრულოს. ბუფონის თქმით, მას ჯერ არა აქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული და ყველაფერი ცნობილი რამდენიმე თვეში გახდება.

– ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში, ამიტომ შევეცდები, იუვენტუსს მაქსიმალურად დავუხმარო. მომავალ სეზონში შესაძლოა ფეხბურთიდან წავიდე, მაგრამ ზუსტად რა მოხდება, ჯერ არ ვიცი. გადაწყვეტილებას რამდენიმე თვეში მივიღებ, – განაცხადა ბუფონმა.

კალედოსკოპი

გოგონამ წარსულში მომავალ ქმარზე მინიშნება აღმოაჩინა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა გოგონამ თავისი მომავალი საქმრო თავის ძველ ფოტოსურათზე აღმოაჩინა, რომელიც 10 წლის წინ მათ გაცნობამდე იყო გადაღებული.



ვერონა კოლინიმ მირანდ ბუ-ზაკუ 2016 წლის ზაფხულში გაიცნო. ნიშნობის შემდეგ მან თავისი ბავშვობის ფოტოსურათი აჩვენა, რომელიც მონტენეგროში პლაჟზე იყო გადაღებული. მან ყურადღება მიამჩნია იმას, რომ უაჩანა პლანზე მყოფ ბიჭს ისეთივე პერანგი, მოკლე შარვალი და გასაბერი ლეიბი ჰქონდა, როგორც მას ბავშვობაში ჰქონდა.

ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს მხოლოდ დამთხვევა იყო, მაგრამ ნათესავებმა დაუდასტურეს, რომ სურათზე მართლაც მირანდი იყო. აღმოჩნდა, რომ ათი წლის წინ ის და მისი მომავალი საცოლე ერთსა და იმავე პლაჟზე ისვენებდნენ, ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრში იმყოფებოდნენ და ამის შესახებ არაფერი იყო მათთვის ცნობილი.

ვერონას მიერ ინსტაგრამში განთავსებულმა ამ ინფორმაციამ და ფოტოსურათმა მოკლე დროში 31 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

ტრანსგენდერი მოდელი ცნობილი ჟურნალისთვის გაშიშვლდა



ჟურნალმა Elle Brazil-მა დეკემბრის ნომრის გარეკანზე მოდელი-ტრანსგენდერის შიშველი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

გამოცემა სუთი ყდით გამოვიდა, რომლებზეც ცნობილი ბრაზილიელები ხელოვნების კლასიკურ ნაწარმოებებს წარმოსახვენ. 36 წლის მოდელ-ტრანსგენდერმა ლეა ტიმი ფოტოსურათი ბოტინელის ვენერას სურათის მიხედვით გადაიღო.

ჟურნალის დანარჩენი ყდები დაამუშვენს მსახიობებმა სონია ბრაგამ და ტაის არაუჯომ, ლაზარო რამოსმა და ხოსე კელსო მარტინეზმა, ასევე კომპოზიტორმა კაეტანუ ველოზომ.

ლეა ტიმი 1981 წელს ბრაზილიელი ფეხბურთელის ტონინიო სერეზოს ოჯახში დაიბადა. 2010 წლიდან ის მოდელად მუშაობს და სხვადასხვა ცნობილი გამოცემისთვის გამართულ ფოტოსესიებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

დონარუას იუვენტუსში თამაში არ უნდა

მილანის გოლკიპერმა ჯანლუიჯი დონარუამ ტურინის იუვენტუსში გადასვლაზე უარი თქვა. ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება იტალიურ პრესაში. დონარუას აგენტი მინო რაიოლა ცდილობს, თავისი კლიენტი სარფიანად გაასხვისოს მსოფლიო ფეხბურთის რომელიმე გრანდში, მაგრამ დონარუას ჯერჯერობით მილანის დატოვება არ სურს. მილანის ახალგაზრდა მეკარე ბევერი გუნდის ინტერესის სფეროშია, რადგან ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მეკარედ ითვლება.



მიამზადა ბუკა გოგინაშვილმა

ლივერპული და არსენალი ლეაჩხე ფიქრობენ



ლივერპულიდან დაკავშირებული სატრანსფერო ქორები მთელი გასული ზაფხულის განმავლობაში ძირითადად 2 ფეხბურთელს – ნაბი კეიტასა და ვირჯილ ვან დეიკის ირგვლივ ტრიალებდა. თუმცა, სატრანსფერო ფანჯრის უკანასკნელ დღეებში მერსისაიდულ კლუბს აქტიურად უკავშირებდნენ აგრეთვე ტომა ლემარს, რომელსაც ნისლიან ალბიონზე ჩამოსვლამდე სულ ცოტა დააკლდა. მერსისაიდული კლუბი მასში 64.8 მილიონ გირვანქა სტერლინგსაც კი იხდია.

აღნიშნულ ინფორმაციას ვეროპული მედიაც ადასტურებდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ფრანგულმა კლუბმა ფეხბურთელის გაყიდვას უარი განუცხადა არგორც ლივერპულს, ასევე – არსენალს. ეს მაშინ, როდესაც „ეთოფეებმა“ ფრანგებს 90 მილიონი გირვანქაც კი შესთავაზეს, თუმცა მონეგასკები მაინც უარზე იყვნენ.

ახლა კი ფრანგული მედიის ცნობით, ორივე ზემოხსენებული კლუბი ისევ აპირებს იანერის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდგომ ფეხბურთელის შექმნას.

მონაკო წელს ბევრად დასუსტებულია, ისინი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშნენ და ვერც ვეროპის ლიგის საგზურის მოპოვება შეძლეს, ხოლო ლიგა 1-ში მე-2 ადგილის მიუხედავად, პეს-ს 9 ქულით ჩამორჩებიან და ჩემპიონობის მინიმალური შანსი აქვთ.

ეს ყველაფერი უკვე მოასწავებს იმას, რომ ლემარი გუნდს დატოვებს, ისევე, როგორც ეს მონაკოს სხვა ძლიერმა ფეხბურთელებმა გააკეთეს.

ლაციო ჩემპიონატიდან გასვლა აპირებს



რომის ლაციო სერია ა-ს დატოვებას აანონსებს. ამის მიზეზად კლუბის პრეზიდენტი გულშემატკვარბათა მოთხოვნას ასახელებს.

საქმე ის არის, რომ სერია ა-ს მე-16 ტურში ტორინოსთან წაგებული (1:3) მატჩის შემდეგ მსაჯობით უკმაყოფილო რომელიც გუნდის ტიფოზები არბიტრ პიერო ჯაკომელის საკუთარ კავშიში იუვარდნენ და კედლებზე წარწერები დაუტოვეს. სხვათა შორის, ამ კავშირს კედელზე ლაციოს პრინციპული მეტოქის, რომას ექსკაპიტანი ფრანჩესკო ტოტია გამოსახული.

აპენინური მედიის ცნობით, ლაციოს პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო თვლის, რომ მისი გუნდი პოლიტიკური კამპანიის მსხვერპლია.

კლაუდიო ლოტიტო: – უკვე აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გარკვეულ ძალებს არ უნდათ ლაციო ოთხეულში მოხედეს. უკვე მე-4 ტურია მსაჯები მიზანმიმართულად გვზარავენ. არ გამოვიცხადებ, გულშემატკვირების მოთხოვნით გუნდი ჩემპიონატიდან გავიყვანო.

მიამზადა მისიელ ჟორჯილიანმა

ინგლისელ ქალს სექსი სულელებთან აქვს

ინგლისის ქალაქ ბრისტოლის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელიც საკუთარ თავს ანთროპოლოგსა და ფილოსოფოსს თვლის, ბრიტანეთის პირველი ტელეარხის დილის გადაცემის პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მას სექსუალური ურთიერთობა აქვს სულელებთან.



27 წლის გოგონას თქმით, პირველად მან სარეველი მოჩვენებასთან 12 წლის წინ, მას შემდეგ გაიზიარა, როდესაც თავის ბოიფრენდთან ერთად ახალ სახლში გადავიდა. მან უცნაური არსებების არსებობა შეიგრძნო, თუმცა არ შეშინებია, პირიქით, მასთან კონტაქტი შევიდა.

– ჩემ თემოებზე ზენოლას და კისერთან სუნთქვას ვგრძნობდი. თავს ყოველთვის უსაფრთხოდ ვგრძნობდი. სექსი მქონდა მოჩვენებასთან. ეს შეიძლება შეიგრძნო, მაგრამ მისი ახსნა ძნელია, – განაცხადა გოგონამ.

მოჩვენებასთან რომანი სამი წელი გრძელდებოდა. ერთხელაც გოგონას რეალური მეგობარი მამაკაცი სამსახურიდან ადრე დაბრუნდა და დაზარადა ვიღაც არსებობს მოხაზულობა შენიშნა. გოგონა თავის ბოიფრენდს დაშორდა და მოჩვენებებთან კონტაქტები გააგრძელა. ის ამტკიცებს, რომ ბოლო 12 წლის მანძილზე მინიმუმ 20 მოჩვენებასთან ჰქონდა სექსობრივი კონტაქტი.

გოგონას მტკიცებით, სექსობრივი გამოცდილება სულელებთან იმდენად ძლიერია, რომ მან საბოლოოდ თქვა უარი რეალურ მამაკაცებზე. ახლა მის მიზანს მოჩვენებისგან დაფხმობა წარმოადგენს.

მიამზადა კანა ხატიაშვილმა

ასტროლოგია

14 დეკემბერი



პირი – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. იკითხეთ წიგნები. **პირი** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **მარსი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სპონტანურად ნუ მიიღებთ. **კირისი** – მანსი გექცევით, ხელსაყრელი გარემოება გააფორმეთ. **ოპტიმიზმი** და მეღაწეობა ერთმანეთს ენაცვლება. **ლონი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **პლუტონი** – რთული დღეა, დაკავშირებული შეუსრულებელ მოვალეობებთან. თავი შეიკავეთ შორს გამგზავრებისაგან. **სასწორი** – კონტაქტი მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებთან იქონიეთ. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **ღიანაქალი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **მარსი** – იღბლიანი დღეა. საქმიანი შეხვედრებისათვის დღის პირველი ნახევარი უფრო ხელსაყრელია. **მისი** – დაუმთავრებელი საქმე უსიამოვნებას შეგიქმნით. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **პირსი** – საქმიანი პარტნიორთან მოლაპარაკებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. **მარსი** – კეთილისმყოფელი დღეა ფინანსური ოპერაციებისათვის. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაიჩნდეთ. **გისუხვებთ ბედნიეხ დღეს!**

ჯიხოსოხი ა

შეუღალა: 1. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 2. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. პორიზირებული სამშენებლო კონსტრუქცია; 5. მატყუარა, ყალბაბანდი ადამიანი; 6. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 11. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ჯიშის ძაღლი; 13. საყვავილეთო ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება; 14. მრავალსმინაობა მუსიკაში; 15. ფერმწერი, რომელიც ზღვის ხედვებს ხატავს; 17. რაიმეს ზღერული ნორმა; 18. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 19. იაპონური ხის ქოშები.

თარაზულა: 7. პოპულარული ქართული ქალაქური სიმღერა; 8. ლამაზად წერის ხელოვნება; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე სამცხე-ჯავახეთში; 10. ქართველი მგოსანი; 12. ხის ორი ფირფიტისგან შემდგარი, მუსიკალური ტკაცუნა, ესპანური ცეკვის აკომპანირებისათვის; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 18. ხევისურული ტანსაცმელი; 20. ფეხის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 21. რაიონული ცენტრი რაჭაში; 22. მოსამართლე ძველად საქართველოში; 23. კახეთში გავრცელებული თეთრყურძინი ვაზის უძველესი ქართული ჯიშის; 24. იაპონური რესტორანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა
შეუღალა: 1. პაროლი; 2. ჩხუტი; 3. კაკანათი; 4. მალაგა; 5. ავსტრია; 6. ნოკალტი; 11. ივანი; 13. რუსტიკა; 14. კონსტებლი; 15. ცუტცგვანგი; 17. „რიბოკი“; 18. კოზაკი; 19. ჯამე.
თარაზულა: 7. მარეხი; 8. საქართველო; 9. „ტოიოტა“; 10. მალაქიტი; 12. საფრანგეთი; 14. კვარცი; 16. კრასნოვი; 18. კინოლოგი; 20. აზოტი; 21. თვე; 22. კონკლავი; 23. შუნი; 24. მემბრიანი.

	1	2	3	4	5	6
7			8			
9			10			
			11			
12		13			14	15
16	17			18		
			19	20		21
22						
		24				

კროსვორდი ბ
შეუღალა: 1. იალბუზი; 2. გაგარინი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. ჯაყელები; 8. „ბარასასი“; 12. რომი; 13. პოლეშიკა; 14. ბრინჯი; 16. დარიალი; 18. კოდაი; 20. ჯუნო.
თარაზულა: 6. საფინჯია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ნუბია; 10. ფიტარეთი; 11. აფერისტი; 15. სოლისტორი; 17. ფიესტა; 19. ჯორჯტაუნი; 21. მიურინი; 22. საკვირაო; 23. კოსმოსი.

„ნიჭიერს“ კიდევ ახალი ორი ფინალისტი ჰყავს



„ნიჭიერის“ ნახევარფინალში მაცურებელმა და ჟიურიმ კიდევ ორი ახალი ფინალისტი გამოავლინა.

შოუში 8 ნახევარფინალისტმა მიიღო მონაწილეობა. მომღერლებმა მარიამ შონიამ და ლუდა დუნდუამ, მოცეკვავეებმა ვინცენცომ და ჯენიმ, ელენა სლახოვამ, ტანმოვარჯიშე ელიზავეტა ბაქრაძემ, ინდური ცეკვების შემსრულებელმა ქრისტინე კაპანაძემ, ილუზიონისტმა ლევან ქორქიამ და მძლავრობის ზაურ დვალისვილიამ.

შოუს დასრულების შემდეგ მაცურებელთა უმრავლესობამ, 37.32 პროცენტით ფინალში მომღერალი მარიამ შონია გადაიყვანა. ჟიურიმ კი თავის ფავორიტად ზაურ დვალისვილი დაასახელა.

წინ კიდევ „ნიჭიერის“ ორი ნახევარფინალია, სადაც მაცურებელი და ჟიური საუკეთესოებს დაასახელებს და მისცემს შანსს, გამარჯვებისთვის ფინალში იბრძოლოს.

მაილი სიკრუსმა დახმა გვასალიას კაბა მოიკრამ




მსოფლიოში აღიარებულმა მომღერალმა მაილი სიკრუსმა ბალენსიაგას ქართველი შემოქმედებითი ხელმძღვანელის დემნა გვასალიას კაბა მოიკრა.

მომღერალი დიზაინერის ულამაზესი ნითელი კაბით ამერიკული „ვივისის“ ერთ-ერთ საკონკურსო ტურზე გამოცხადდა და კოლექციის კომპლიმენტებიც დაიმსახურა.

დემნა გვასალია და მისი კოლექცია უკვე დიდი ხანია მსოფლიო ვარსკვლავების ერთ-ერთი საყვარელი ბრენდია.

რუსუდან შარაძემ ბრივოლ რობაიძის უსმოვი დოკუმენტები აღმოაჩინა



რუსუდან შარაძემ ფენევის სახელმწიფო არქივში ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის უცნობი დოკუმენტები აღმოაჩინა:

– ფენევის სახელმწიფო არქივში მივაგავი გრიგოლ რობაქიძისა და მისი მეუღლის შესახებ მნიშვნელოვან, უცნობ დოკუმენტებს.

სტატიას ვამზადებ და სანამ გამოვაქვეყნებ, იხილეთ ეს უცნობი, უნიკალური ფოტოები. მისხარია...

პ.ს. არქივი დღემდე არ ჩანს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ.

ირაკლი ჩოლოყაშვილი ტელეკომპანია „იმედს“ პროტესტს უცხადებს

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი ტელეკომპანია „იმედს“ პროტესტს უცხადებს:

– სხვისი არ ვიცი... არ არსებობს ქვეყნად ძალა, რომელიც მაიძულებს ვითანამშრომლო ტე იმედთან.

პ.ს. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ ტე იმედს უკავშირდება...




საიუზიანი კაბა არეპაშვილმა

შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს ბერლინში აღნიშნავენ

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი, მწერალი და პოეტი დავით შემოქმედელი ავრცელებს ინფორმაციას, რომ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს გერმანიის ქალაქ ბერლინშიც აღინიშნება:

– ბერლინში სპეციალური მინვეტი მიგვიჩინა. მონაწილეობას მივიღებ ღონისძიებებში, რომლებიც რუსთაველის 850 და საქართველო-გერმანიის მეგობრობის 200 წლისთავს მიეძღვნება. მექნება შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან.

გერმანიაში, საქართველოს საელჩოში, გაიმართება წარდგენა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ბერლინის ფილიალის, რომელიც 95 წლის წინ დაარსდა ბერლინში და რომლის პირ-



ველი საპატიო თავმჯდომარე, იმხანად ბერლინში მცხოვრები, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი, გამოჩენილი პოეტი, კონსტანტინე ბალმონტი გახლდათ.

მადლობა ჩვენი საქმიანობის მხარდაჭერისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს, ამჟამად ყოფილს, ბატონ ლადო ჭანტურისასა და დესპანს, ბატონ ლევან დიასამიძეს.

ღმერთმა ქნას, რუსთაველის საზოგადოება გახდეს ის პატარა ხიდი, რომელიც ქართული კულტურის პოპულარიზაციას გახსნევს მაღალცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთ დიდ ცენტრში – გერმანიაში.

თამაზ ჭიჭიშვილი: „იხსოვრე, ახლა და ახლოს, დღეს!“

ასე მოუწოდებს ყველას მწერალი თამაზ ჭიჭიშვილი და სიცოცხლით ტკობას ურჩევს:

– გამარჯობა, ბედნიერო! თუ ამ სტრიქონებს კითხულობ, ესე იგი ბედნიერი ხარ!

იმითმომ, რომ გული გიცემს, სუნთქავ... ცოცხლობ! გამოდი, რომ უფლის რჩეულს, მამამ ზეციერმა, უფალმა, გიძღვნა სიცოცხლე! მიიღე მონიშნებით ეს საკრალური ძღვენი და გააცნობიერე!

იცოცხლე, ტკივილის კი არა, მაღლიერების ცრემლი გეძალდება! იცხოვრე, ახლა და ახლოს, დღეს!... არავინ უნცის, რა იქნება ხვალ!



რაზო თაბუკაშვილის 90 წლის იუბილეს ბერლინში აღნიშნავენ

18 დეკემბერს მწერალთა სახლში რეზო თაბუკაშვილის 90 წლის იუბილეს აღინიშნება.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გამოფენა გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება რარიტეტული ნივთები და ვიტორიო სელას ფოტოები რეზო თაბუკაშვილის პირადი არქივიდან.

რეზო თაბუკაშვილი ავტორია რამდენიმე ფილმის სცენარის, მცირერიცხოვანი ლექსების და თორმეტი დოკუმენტური ფილმის, რომლებიც მის მეცნიერულ-კულტურულ კვლევებს ასახავს, პიესების: „რაიკომის მდივანი“ და „რას იტყვის ხალხი?“

მისი უშუალო მონაწილეობითა და ინიციატივით საქართველოს დაუბრუნდა საგანძურის უნიკალური ნივთები, იტალიელი ალბინისტისა და ფოტოგრაფის ვიტორიო სელას ფოტოარქივი, ფოტოგრაფები და უძველესი ხელნაწერები, ერეკლე II-ის წერილები ვენეციის გამგებლისადმი, თამარ და აკაკი პაპაძეების არქივი, სულხან-საბა ორბელიანის სამაჯური, ვანო ქიქოძის იარაღების უნიკალური კოლექცია, ქეთევან დედოფლის მოქსოვილი ფარდაგი, ასევე ნიკო ბურის რარიტეტები. რეზო თაბუკაშვილის დამსახურებაა კუნძულ ტექსელზე, ქართული ბატალიონის ამბოხების კვლევა და ამბოხებულების ზნეობრივი და იურიდიული რეაბილიტაცია; მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული ოთხმოცზე მეტი ჯარისკაცის საფლავის მოძიება, მიხეილ თამარაშვილის, მიხეილ თარხნიშვილის, გრიგოლ ფერაძის, პეტრე ხარისჭირაშვილისა და თამარ და აკაკი პაპაძეების ოჯახის რეაბილიტაცია.

ბედიის ტაძარი უპიძეს მდგომარეობაშია

აფხაზეთში მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ტაძარი – ბედიის მონასტერი უპიძეს მდგომარეობაშია.

პოეტ და ფოტოხელოვანი ილია ჭკადუა, რომელიც ვაჩე რაინდელის მეტსახელით არის ცნობილი, ეტაპობრივად აფხაზეთში ჩუმად გადადის და იქაურ ეკლესია-მონასტრებს ფოტოებს უღებს.

ვაჩე ამჟამად აფხაზეთში იმყოფება და ბედიის მონასტრის ფოტოს ავრცელებს, სადაც ჩანს, რომ ეკლესიას პერანგი შემოცლილი აქვს: – ბედიის ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა...



საზოგადოებრივი განხილვა

მეგობრები – ნიკო ცხარეიშვილი და ფრიდონ მაჭარაძე ოჯახებით იუნცებიან ვეტერანი ფეხბურთელის იური კურბანიძის გარდაცვალებას და იზიარებენ ოჯახის მწუხარებას.

იზო და თინა კუნჭულიები მწუხარებით იუნცებიან მეგობრის ლეილა გვილაძის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საზოგადოებრივი განხილვა ყოველდღე, კვირის გარეშე, 12-დან 17 საათამდე.

შვეულად: 1. ინფექციური დაავადების საინჟინერო სამედიცინო პრეპარატი; 2. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ქალაქ თბილისის მერი; 4. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბრონქული წვენიდან მომზადებული საწებელი; 12. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანკარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 18. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. პატარა ქვევრი.

თარაზულად: 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ზნეობა ანუ...; 9. ფრანგი მწერალი; 10. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიტიკელი; 17. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებელი საწარმო; 19. კურორტი, ნავსადგური, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. გაეროთიანებული სამეფოს დედაქალაქი.

შეადგინა თეოგონაშვილმა

კრისტიანული ჭეშმარიტების

22x22 crossword puzzle grid with numbers 1-23 indicating starting points for words.

TV program schedule for the evening (სუთმაბათი 14 დეკემბერი)

TV program schedule for 07.30 - 08.00

TV program schedule for 06.30, 16.00 სერ.

TV program schedule for 06.00, 18.50 სერ.

TV program schedule for 7.55 ან/ვ 8.00

TV program schedule for 08.00 ან/ვ "ავტარი" 09.00

TV program schedule for 08.00 ან/ვ "ავტარი" 08.10

TV program schedule for 06.15 მოვ. შ/ვ "მედიკი"

პროგრამები იმუშავება საავტოო „ნივოზარის“ ნებართვით

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitoba

14 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების განვლილი კურსი



აშშ დოლარი — 2.6258




ევრო — 3.0916



ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4999



100 რუსული რუბლი — 4.4624



14 დეკემბრიდან

რომან გვენცაძის
საბედისწერო ბასროლა

ფასი გაზაფხულთან ერთად 4 ლარი

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
- შეგიძლია ფული მომცე?
- რატომ?
- ისე, სამახსოვროდ.

მამაკაცი ქალს ეუბნება:
- კონიაკი სასარგებლოა გულსთვის. ის სისხლძარღვებს აფართოებს.

- ჰო, მაგრამ შემდეგ ისევ ვინროვდება.
- ამას კი არაფრის დიდებით არ დავუშვებ!!!

კაცი სახანძროში რეკავს და ღრიალებს:

- მიშველეთ! ჩემი სახლი ინვის! ჩქარა მოდიეთ!

- როგორ მოვიდეთ? - ეკითხება დისპეტჩერი.

- თქვენ რა, სულ გამოშტერდით?! როგორ და დიდი წითელი მანქანით!

ქმარი სარკის წინ წვერს იბარსავს და ცოლს ეუბნება:

- რაღაც ჩემი საპარსი ველარ მპარსავს!


- უცნაურია, ლინოლეუმს კი კარგად ჭრიდა და...

მამაკაცმა თავისუფალი დრო გამოიხატა და გადანწყვიტა, იგი საყვარელთან გაეტარებინა.

23 ნოემბრიდან

ლავა იმედაშვილი ქართული
სამი მკვლელთა დამაჯივი
კველ თბილისში ზომი 13
პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზაფხულთან ერთად 4 ლარი



15 დეკემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები



ფასი გაზაფხულთან ერთად 5 ლარი

ნა. დაურეკა და ეუბნება:

- საყვარელო, მოემზადე, ერთ საათში შენთან ვიქნები.

მივიდა საყვარლის სახლთან, მძლოლი გააფრთხილა, რომ ორ საათში მიეკითხებინა და გაუშვა, თავად კი სადარბაზოში შევიდა და ხედავს, რომ ლიფტის კარზე გაკრულია განცხადება: „ტექნიკური მიზეზების გამო ლიფტი არ მუშაობს“.

მისი საყვარელი კი მე-15 სართულზე ცხოვრობს. აღზნებულმა მე-4 სართულამდე ერთი ამოსუნთქვით აირბინა, მე-6 სართულზე შუბლიდან ოფლი ჩამოინმინდა, მერვეზე ჯიბიდან ვალიდოლი ამოიღო, მეათეზე კიბეზე ჩამოჯდა და გაიფიქრა:

- ღმერთო, ნეტავ სახლში არ იყოს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

21 ნოემბრიდან

შოი გვეტაძე
მონანიება
ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზაფხულთან ერთად 4 ლარი



ავტო ლომბარდი

ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით



მაქსიმალური თანხა:

40,000 ₾

გაიგეთ მეტი:

LibertyBank.ge/AutoLombard

☎ 032 255 55 00

